საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალიაშვილი მარინა სიმონის ასული

ბალიაშვილი მარინა სიმონის ასული (დ. 8. I. 1948, თბილისი), ფსიქოლოგი, ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი.

დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი ფსიქოლ. სპეციალობით (1969). დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო ამავე ინ-ტში: იყო სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე, სადისერტაციო საბჭოს მდივანი, სოციალური და პიროვნების ფსიქოლ. განყ-ბის გამგე. ბ-ის ნაშრომი "პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები" დ. უზნაძის აკადემიური სახელმწ. პრემიით აღინიშნა (2012).

ბ-ის თეორ. და ემპირიულ გამოკვლევებში ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხებია შესწავლილი. სისტემატური ექსპერ. კვლევის ობიექტი გახდა სოციალური განწყობისა და ქცევის ურთიერთმიმართება; ასევე მრავალი საგულისხმო მონაცემია მოპოვებული სოციალურ განწყობათა ფორმირება-შეცვლის კანონზომიერებათა გამოვლენის მხრივ.

ბ-ის სადოქტორო დისერტაცია მიეძღვნა ქცევაში ,,მე-ს ობიექტივაციის როლის ჩვენებას. კვლევამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით ,,მე-ს ობიექტივაცია გავლენას ახდენს ფსიქიკურ ფენომენთა ფართო სპექტრზე და ქცევაში კონსტრუქციულ როლს ასრულებს.

ბ. ავტორია სახელმძღვანელოებისა სოციალურ და პიროვნების ფსიქოლოგიაში.

თხზ.: სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა, თბ., 1980; ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში (თანაავტ.). თბ., 2009; პიროვნების

ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2014; სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 2016.

ი. იმედაძე